სანდრო ტაბატაძე*

მემარჯვენე რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ცნებები: ძირითადი მიდგომები და ქართულენოვანი ლიტერატურის ანალიზი

ანოტაცია

დღესდღეობით მსოფლიოში რადიკალური, ექსტრემისტული ან/და ულტრამემარჯვენეობის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, სადაც, ბოლო წლებში, აღნიშნული თემები რამდენიმე ათეული აკადემიური ნაშრომის ცენტრალურ საკითხად იქცა. მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისით, აშკარაა ტერმინოლოგიური გაურკვევლობის პრობლემა, როცა, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს მსგავს კონტექსტში იყენებს. ამიტომაც, მოცემული სტატიის მიზანია მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებების ირგვლივ არსებული ძირითადი მიდგომები და ამ თვალსაზრისით, კრიტიკულად განიხილოს და გააანალიზოს ქართულენოვანი ლიტერატურა. შესაბამისად, დოკუმენტების ანალიზისა და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდების კომბინირებით, მოცემულ სტატიაში კრიტიკულად გაანალიზებულია ელექტრონულ საძიებო სისტემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო და კვლევითი ნაშრომები, რომლებიც ეხებიან მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის საკითხებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც კვლევითი ორგანიზაციებთან, ისე უნივერსიტეტებთან დაკავშირებული ავტორები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას აღნიშნულ „ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას“. მოცემული სტატია ქვედარგში ქართულენოვანი

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

ბიბლიოგრაფიული ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს და შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც ერთგვარი საორიენტაციო ბაზა საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მემარჯვენე რადიკალიზმი, მემარჯვენე ექსტრემიზმი, ულტრამემარჯვენეობა, ქართული პოლიტიკა; ლიტერატურის ანალიზი

შესავალი

მსოფლიოში თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერება უფრო და უფრო პროფესიონალიზებული და დიფერენცირებული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აკადემიური დარგი საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, აქაც მსგავსი ტენდენცია შეინიშნება. გარდა ამისა, როგორც უმრავლეს აკადემიურ დისციპლინაში, დროის გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთი საკითხი მკვლევართა ინტერესის საგანი ხდება. ამის მაგალითია მემარჯვენე რადიკალიზმის, ექსტრემიზმისა და ულტრამემარჯვენეობის საკითხები. აღნიშნული გარემოება ორი მთავარი მიზეზით შეიძლება აიხსნას. ჯერ ერთი, დასავლეთის აკადემიურ წრეებში აღნიშნული თემები ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდანაა პოპულარული, თუმცა, ბოლო ათწლეულში მემარჯვენე რადიკალური/ექსტრემისტული/ულტრამემარჯვენე პარტიების, ძალებისა და ორგანიზაციების ხილვადობის ზრდამ და ელექტორალურმა წარმატებამ ამ საკითხისადმი სამეცნიერო ინტერესიც გაზარდა. თავის მხრივ, ქართული პოლიტიკის მეცნიერებაც ძირითადად ამერიკული და ევროპული სკოლების ტენდენციების თანაზიარია და თან, მსგავსი ტიპის გაერთიანებები საქართველოში სწორედ ბოლო წლებია გამოჩნდნენ. მეორე მიზეზი შესაძლოა უკავშირდებოდეს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სურვილს ანალიტიკური სტატიები და პროექტე-

ბი სწორედ ამ მათთვის საჭირბოროტო საკითხზე ფოკუსირდეს (Tabatadze, 2019). შესაბამისად, ქართულენოვან ლიტერატურაში მოცემული საკითხებით დაინტერესებას აღნიშნული ფაქტორიც განაპირობებს.

მოცემული ნაშრომის მიზანია შეადაროს მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებების ირგვლივ არსებული ძირითადი მიდგომები და ამ თვალსაზრისით, კრიტიკულად განიხილოს და გააანალიზოს ქართულენოვანი ლიტერატურა. ამდენად, მის ამოცანებს წარმოადგენს მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებების მიმართ არსებული ძირითადი მიდგომების იდენტიფიცირება და დაჯგუფება; იმ ქართულენოვანი აკადემიური და კვლევითი ნაშრომების მოძიება და ანალიზი, რომლებიც იყენებენ ზემოთაღნიშნულ ტერმინებს. შესაბამისად, ნაშრომის საკვლევი კითხვა შემდეგნაირად შეიძლება, ჩამოყალიბდეს: რა მახასიათებლებით გამოირჩევა ქართულენოვანი აკადემიური და კვლევითი ლიტერატურა მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებების გამოყენებისას? შესაბამისად, მოცემულ კვლევაში გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი: მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმისადმი ძირითადი მიდგომების ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა და ელექტრონულ საძიებო სისტემებში ზემოთაღნიშნული ცნებების გამოყენებით შექმნილი ნაშრომების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი. რაოდენობრივ ნაწილში, წარმოდგენილი იქნება ზემოთაღნიშნული ცნებების გამოყენების სიხშირე, ხოლო თვისებრივ ნაწილში, თითოეული ნაშრომი კრიტიკულად გაანალიზდება, მოცემული ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით.

მოცემული სამეცნიერო სტატია შედგება სამი ნაწილისგან თავდაპირველად, ჩამოყალიბებული და დაჯგუფებულია ის ძირითადი მიდგომები, რაც რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ცნებებთან დაკავშირებით არსებობს. ამ ნაწილში განხი-

ლულია, თუ რა მსგავსებების და განსხვავებების დანახვაა შესაძლებელი ამ ორი ტერმინის გამოყენებისას, ასევე ავტორთა მოსაზრებები და მიდგომები დაჯგუფებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორაა მათს ნაშრომებში გადაწყვეტილი აღნიშნული საკითხი. მეორე ნაწილში განხილულია ქართულენოვანი ლიტერატურა, კერძოდ: სამეცნიერო ნაშრომები, კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები და პოლიტიკის დოკუმენტები/ბლოგები. შესაბამისად, ამ ნაწილში კრიტიკულად მიმოხილულია, როგორც სამეცნიერო ხარისხის საკვალიფიკაციო ნაშრომები და თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები, ისე მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ბლოგები და დოკუმენტები, თუ ისინი კვლევითი ორგანიზაციებისა და ქსელების მიერაა გამოქვეყნებული. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სამეცნიერო საძიებო სისტემებში ტერმინები: „რადიკალური მემარჯვენე“, „ექსტრემისტული მემარჯვენე“ და „ულტრამემარჯვენე“ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. მიუხედავად ამისა, ზემოთაღნიშნული ტერმინების სიჭარბე მაინც მედიატექსტებისთვისაა (სტატიები და პერსონალური ბლოგები) დამახასიათებელი.

მოცემული სამეცნიერო სტატიის ფარგლებში, განვიხილავთ აკადემიური, კვლევითი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ჟურნალების მიერ გამოქვეყნებულ ქართულენოვან ლიტერატურას, კრიტიკულად გავაანალიზებთ თითოეულ ნაშრომში არსებულ მიდგომებსა და წარმოვაჩენთ, თუ რომელი მიდგომები სჭარბობს მემარჯვენე რადიკალიზმის/ექსტრემიზმის ცნებების ირგვლივ ქართულენოვან აკადემიურ სივრცეში. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი დასკვნით ნაწილში აერთიანებს ამ თემაზე არსებულ აკადემიურ/კვლევით ბიბლიოგრაფიას და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება საკითხით დაინტერესებული პირისთვის. ასევე, ნაშრომში

კრიტიკულად გაშუქდება ტერმინოლოგიური გაუგებრობის პრობლემა და ის პოლიტიკის მეცნიერებაში რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ცნებათა ირგვლივ არსებულ დისკუსიას დაუკავშირდება.

მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებები: ძირითადი მიდგომები

როგორც უკვე ვთქვით, მემარჯვენე რადიკალიზმისა (radical right) და ექსტრემიზმის (extreme right) თემების მიმართ სამეცნიერო ინტერესი უფროდაუფრო იზრდება, რაც მსგავსი პოლიტიკური პოზიციების მქონე პარტიებისა და მოძრაობების გააქტიურებით და ელექტორალური წარმატებით შეიძლება აიხსნას (Mudde, 2016). მიუხედავად ამისა, აკადემიურ წრეებში კვლავ არ არის მეტ-ნაკლებად ერთიანი და შეჯერებული პოზიცია იმის შესახებ, თუ რა უნდა მოვიაზროთ მოცემული ცნებების ქვეშ. ზოგადად, ტერმინოლოგიური გაურკვევლობის პრობლემა პოლიტიკის მეცნიერებისთვის უცხო არ არის, თუმცა, „მემარჯვენე რადიკალიზმისა“ და „მემარჯვენე ექსტრემიზმის“ ცნებებს, გარდა სამეცნიერო გამოყენებისა, პრაქტიკული პოლიტიკური პროცესებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მოცემულ საკითხის ირგვლივ ყველაზე ეფექტური და სისტემური კლასიფიცირების ავტორი ჟილეს ივალდია, რომელმაც აკადემიური ნაშრომების გაანალიზების შედეგად ორი ძირითადი მიმდინარეობა გამოყო. ესენია: ანგლო-საქსური და გერმანული სკოლები (Ivaldi, 2004). ავტორის თქმით, პირველი სკოლის მიმდინარეობის მომხრე ავტორებისთვის რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობა სინონიმებია და ხშირად, ასევე გამოიყენება ტერმინი ულტრამემარჯვენეობა (far right), ხოლო, გერმანული გამოცდილება მკაფიოდ მიჯნავს მემარჯვენეობის რადიკალურ და ექსტრემისტულ განზომილებებს, რისი მიზეზიც აღნიშნული სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილებაა (Ivaldi, 2004). იმისათვის, რომ გასაგებად ჩამოვაყა-

ლიბოთ თითოეული ამ სკოლისთვის დამახასიათებელი ძირითადი მიდგომა, თავდაპირველად ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ცნებების ირგვლივ არსებული მიდგომები, ხოლო შემდეგ მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების პერსპექტივები განვსაზღვროთ.

მემარჯვენე რადიკალიზმის ცნების ირგვლივ არსებული აკადემიური ნაშრომები მას უმეტესწილად წარმოადგენენ, როგორც იდეოლოგიას ან/და პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც ლიბერალური დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპისადმი გარკვეულ წინააღმდეგობას გამოხატავს (Mudde, 2007). ხშირად აღნიშნული ტერმინი გამოიყენება, როგორც ძველი ან არსებული მორალური ღირებულებების, ნორმების და ინსტიტუტების დაცვაზე ერთგვარი რეაქცია. ზოგჯერ ის ასოცირებულია ანტი-სისტემურ პოპულიზმთან, ეთნონაციონალიზმთან და ქსენოფობიასთანაც კი (Jupkas, 2020). მის მახასიათებლებს შორის გვხვდება საზოგადოებაში იერარქიული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობების მხარდაჭერა, რაც თავის მხრივ გულისხმობს „ჩვენ და ისინი“ დიქოტომიას (Bobbio, 1996).

ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ევროპის პოლიტიკური ცხოვრება რადიკალური მემარჯვენე იდეოლოგიის გარეშე რთულად წარმოსადგენია (Art, 2011). სწორედ ამიტომ, სავარაუდოა, რომ მემარჯვენე რადიკალიზმის ცნების შინაარსი სწორედ მსგავსი პოლიტიკური პოზიციების მქონე ევროპული პარტიების და მოძრაობების პოლიტიკური ღირებულებების ანალიზის გზით შეივსო. თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ როგორც წესი, არც ერთი პოლიტიკური პარტია, სამოქალაქო მოძრაობა თუ აქტივისტი თავს არ უწოდებს მემარჯვენე რადიკალს, ვინაიდან ტერმინმა აშკარად უარყოფითი კონოტაცია შეიძინა (Jupskas, 2020). როგორც კას მუდე (1995) აღნიშნავს, ტერმინმა საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ფაშისტური მოძრაობების გააქტიურ-

ებისას, თუმცა, დროთა განმავლობაში, მისი გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და, ხშირად, ულტრამემარჯვენეობის სინონიმად მოიაზრება. ამდენად, როგორც კას მუდე (1995, 2007) აღნიშნავს, მართალია მემარჯვენე რადიკალიზმის ცნება ფაშისტური მოძრაობებისთვის სახელის დარქმევის მიზნით გავრცელდა, მაგრამ დღეს მისი გამოყენება აღარ ნიშნავს პარტიის თუ მოძრაობისთვის ფაშისტური გამოცდილების არსებობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კონსენსუსი, რომ მემარჯვენე რადიკალური პოლიტიკური მოძრაობები არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც ანგარიშგასაწევ ძალად ყალიბდებიან. ამის მიზეზად ხშირად მისი ინტერნაციონალიზაცია მიიჩნევა, რაც, თავის მხრივ, გლობალიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროცესებითაა გამოწვეული (Mering & McCarty, 2013). თუმცა, კითხვა, კონკრეტულად რა უნდა მოვიაზროთ მემარჯვენე რადიკალიზმის ცნების ქვეშ და რითი განვასხვავოთ ის სხვა ცნებებისგან, კვლავ ღია რჩება.

მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნების ირგვლივ არსებული აკადემიური ნაშრომები მას უმეტესწილად წარმოადგენენ, როგორც იდეოლოგიას ან პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც გამოირჩევა ანტი-დემოკრატიული პოზიციების მხარდაჭერითა და პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობით (Mudde, 2007; Snow and Cross, 2011). ერთი მხრივ, თანასწორობის პრინციპისადმი აშკარად ანტიდემოკრატიული პოზიცია ასოცირდება ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა: ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები; სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები (Carter, 2005); ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა გულისხმობს იმგვარ ანტიკონსტიტუციურ და კანონდამრღვევ ქმედებებს, რომლებიც უბრალოდ ლიბერალურ და დემოკრატიულ წესრიგს ეწინააღმდეგება (Merkl & Weinberg, 1997). ზოგჯერ აღნიშნული ტერმინი დაკავშირებულია რასიზმთან, ავტორიტარიზმთან, ანტისემი-

ტიზმთან და შეთქმულების თეორიებთანაც კი (Jupkas & Segers, 2020). ამდენად, ეს გულისხმობს იმგვარი იდეების გაზიარებას, რომელიც ეყრდნობა ნებისმიერი გზით ეროვნული, რელიგიური და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ე.წ. მტრებისგან, რაშიც ხშირად, იმიგრანტები, ეთნიკური, სექსუალური, რელიგიური უმცირესობები, ლიბერალები და ფემინისტები მოიაზრებიან (Randaval, 2016).

კას მუდემ (1995) ჩამოაყალიბა მემარჯვენე ექსტრემიზმისთვის დამახასიათებელი ხუთი ძირითადი ნიშანი. ესენია: ნაციონალიზმი, რასიზმი, ქსენოფობია, ანტი-დემოკრატიულობა და ძლიერი სახელმწიფო/ავტორიტარიზმი. ზოგადად, ნაციონალიზმში მოიაზრება ეთნოცენტრიზმის ნიშნები, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ეროვნული იდეის კონკრეტულ ეთნიკურ და კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებასა და კოლექტიური ჰომოგენურობის პრინციპების მხარდაჭერას (Copsey, 2008; Minkenberg, 2003; Eatwell, 2000; Betz & Jonson, 2004). ნაციონალიზმს, კას მუდემ (2007) დაამატა „ნატივიზმის“ ცნება, რაც, ეყრდნობა იდეას, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კონკრეტული ნატივისტური ჯგუფი უნდა ცხოვრობდეს და არავინ სხვამ არ უნდა დააზიანოს ჰოლისტური, ერთიანი სახელმწიფო. კას მუდეს (1995) მიერ მემარჯვენე ექსტრემიზმის მახასიათებლად დასახელებულია რასიზმი, და ქსენოფობია რასაც სხვა ავტორებიც იზიარებენ. მათი თქმით, ესაა რწმენა, რომ ადამიანები ბუნებრივად განსხვავდებიან რასების მიხედვით და რომ ზოგიერთი რასა სხვებზე უპირატესია, რაც, ბუნებრივად გულისხმობს უცხოელების მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ან ზიზღს. ეს ხშირად აისახება ანტიდისკრიმინაციული გადაწყვეტილებების კრიტიკასა და კულტურული შეუთავსებლობის იდეების მხარდაჭერაში (Heinisch, 2003; Minkenberg, 2003). უფრო კონკრეტულად კი, ამას ეთნონაციონალისტური ქსენოფობია შეიძლება ეწოდოს (Rydgen 2005). მეოთხე მახასიათებელია ანტი-დემოკრატიულობა, რაც ფუნ-

დამენტური თანასწორობისა და პლურალიზმის პოლიტიკური პრინციპების უარყოფის სახით ვლინდება. სხვა ავტორების ხედვით, მემარჯვენე ექსტრემიზმისთვის დამახასიათებელია არსებული სოციალური და პოლიტიკური სისტემისა და პრინციპების უარყოფა, რაც მას ანტილიბერალურ და ანტიპლურალისტურ პოლიტიკურ იდეოლოგიად აქცევს (Betz & Jonson, 2004; Givens, 2005; Minkenberg, 2003). დაბოლოს, ძლიერ სახელმწიფოში, როგორც წესი, მოიაზრება როგორც კანონიერება და წესრიგი (Mudde, 1995; Copsey, 2008), ასევე ავტორიტარიზმი (Hainsworth, 2008).

აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის არც ერთი პოლიტიკური პარტია, მოძრაობა თუ აქტივისტი თავს მემარჯვენე ექსტრემისტად არ აიდენტიფიცირებს, ვინაიდან ტერმინი საკმაოდ სტიგმატიზებულია და ზოგიერთ სახელმწიფოში ექსტრემიზმი კანონით ისჯება (Klandermans & Mayer, 2006). მოგვიანებით, კას მუდემ (2002) მემარჯვენე ექსტრემიზმი წარმოადგინა იდეოლოგიად, რომლისთვისაც დამახასიათებელია ექსკლუზიონიზმი (რაშიც რასიზმთან ერთად, მოიაზრება ანტი-სემიტიზმი) და პოპულიზმი. ავტორი ამას განმარტავს, როგორც არა პოლიტიკურ სტილს ან ტაქტიკას, არამედ, როგორც იდეოლოგიას რომელიც ეყრდნობა რწმენას, რომ საზოგადოება იმთავითვე გაყოფილია ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად: სუფთა სახლი და კორუმპირებული ელიტა და, ამდენად, პოლიტიკა, სახალხო ზოგადი ნების გამოხატულება უნდა იყოს (Mudde, 2002).

მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებების დამოუკიდებელმა განხილვამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ჩამოყალიბების საშუალება მოგვცა. პირველი, ორივე ცნების ირგვლივ უფრო მეტი რამ არის გაუგებარი, ვიდრე გასაგები. მაგალითად, მემარჯვენე რადიკალიზმის ტერმინის მახასიათებლები ზოგჯერ იმდენად ზოგადი და მრავლისმომცველია, რომ ის ნებისმიერი ნაციონალისტური ან/და კონსერვატიული პოლიტიკური პო-

ზიციის შესაფასებლადაც იქნეს გამოყოფილი. ასევე, ნაკლებად გასაგებია, თუ რას გულისხმობს ლიბერალური დემოკრატიის კრიტიკა და რით განსხვავდება ის „არალიბერალური დემოკრატიის“ ცნებისგან. რაც შეეხება მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებას, მართალია მისი ფოკუსი არასამშვიდობო პოლიტიკური ტაქტიკის გამოყენებაზეა, ის მაინც ვერ პასუხობს შეკითხვას, თუ რა ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრებისკენ მიისწრაფვის ექსტრემისტული მემარჯვენეობა. თუ მისი ძირითადი მახასიათებელი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, გამოდის, რომ ის მემარჯვენე ტერორიზმის ან უბრალოდ ტერორიზმის სინონიმია. მეორე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა ის, რომ მემარჯვენე რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ცნებები არ არსებობს განყენებულად, პრაქტიკული პოლიტიკური პროცესების გარეშე. აკადემიური ლიტერატურა, პირდაპირ და ირიბად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკური გზავნილები ექნება ან რა პოლიტიკურ ტაქტიკას გამოიყენებს ის მემარჯვენე რადიკალ ან/და ექსტრემისტად იდენტიფიცირებული პარტია, ჯგუფი თუ აქტივისტი. ამ მხრივ, არ უნდა უგულვებელვყოთ მასმედიის როლი, რომელიც, ხშირად მისთვის სასურველი ტერმინით მოიხსენიებს ამა თუ იმ პარტიას, ჯგუფსა თუ აქტივისტს. დაბოლოს, ცნებების ირგვლივ არსებული მიდგომების დამოუკიდებელმა განხილვამ გვაჩვენა, რომ აუცილებელია მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი.

მემარჯვენე რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ტერმინებს შორის უშუალოდ ურთიერთკავშირის წარმოჩენამდე, ასტრიდ ბიოტიჩერზე (2017) დაყრდნობით, მოკლედ მიმოვიხილოთ, ზოგადად რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებების საკითხი პოლიტიკის მეცნიერებაში. ავტორის მტკიცებით, ზემოთაღნიშნულ ტერმინებს შორის გამმიჯნავი ხაზები აკადემიურ და ყოფით ლექსიკონში აღრეულია. თუმცა, მისი თქმით, გერმანული ტრადიციის მიხედვით, რადიკალიზმი და ექსტრემიზმი სხვადასხვა სოციო-პოლიტიკური

მოძრაობიდან და წყაროდან მოდის და მათი გაერთიანება შეუძლებელია. მართლაც, თუ რადიკალიზმის ცნება მე-18 საუკუნიდან ჩნდება, ექსტრემიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიას უკავშირდება, ხოლო უშუალოდ სამეცნიერო გამოყენება მანფრედ ფუნკეს სახელს და XX საუკუნის 70-იან წლებს უკავშირდება. ბიოტიჩერის (2017) თქმით, ექსტრემიზმს სამეცნიერო კონცეპტუალიზაცია აკლდა და ტერმინი თავდაპირველად, დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციური ღირებულებების ანტითეზად გამოიყენებოდა. ავტორი მიმოიხილავს ანგლო-საქსური სამყაროს გამოცდილებას და აღნიშნავს, რომ მართალია მტრები ექსტრემისტებად ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოიხსენიებოდნენ, ტერმინმა განსაკუთრებული პოპულარულობა შეიძინა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ს სენატორის დანიელ ვებსტერის მოღვაწეობისას, როცა მან აშშ-ს სამოქალაქო ომის დროს მონობის დამცველთა პოზიციები ექსტრემისტულად შეფასა. როგორც ბიოტიჩერი (2017) აღნიშნავს, ექსტრემიზმი ანტი-ისტებლიშმენტური და ანტი-ელიტური პოზიციების გამომხატველია, რომელიც დაკავშირებულია დოგმებთან, შეუწყნარებლობასთან და ზოგჯერ უკომპრომისო და ძალადობრივ ქმედებებთან, ვინაიდან პოლიტიკა ნულოვანჯამიან თამაშადაა წარმოდგენილი.

როგორც ვხედავთ, მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებების მიმართ არსებული ორი ძირითადი მიდგომა არსებობს. პირველი აერთიანებს ავტორებს, რომლებიც მიჯნავენ ერთმანეთისგან ამ ტერმინებს, ხოლო მეორენი - მათ სინონიმებად გამოიყენებენ და ხშირად ანაცვლებენ კიდევ ტერმინით - „ულტრამემარჯვენე“.

მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა გერმანული სკოლის გამოცდილებასა და ლოგიკას, მკვლევართა დიდი ნაწილი მაინც მიჯნავს მემარჯვენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებებს. ამ მიდგომის მთავარი პრინციპი ასეთია: რადიკალიზმი გულისხმობს

იდეებს, რომლებიც დემოკრატიულობის ჩარჩოშია, თუმცა არის არ-ალიბერალური (რაც, გულისხმობს იმას, რომ მემარჯვენე რადიკა-ლიზმი წინააღმდეგობას უწევს დემოკრატიის ლიბერალურ ასპექ-ტებს, თუმცა, არ ემხრობა ძალადობრივ ქმედებებს), ხოლო, ამისგან განსხვავებით, ექსტრემიზმი გულისხმობს იდეებს, რომლებიც ან-ტი-დემოკრატიულ ჩარჩოშია და პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამორიცხავს ძალადობის გამოყენების შესაძლებლობებს (Mudde, 2007; Ivaldi, 2004). ამდენად, გამოდის, რომ მემარჯვენე რადიკალები მხარს უნდა უჭერდნენ სახალხო და უმრავლესობის სუვერენიტე-ტის პრინციპებს, თუმცა ეწინააღმდეგებიან ისეთ საკითხებს როგო-რებიცაა: უმცირესობების უფლებების მხარდაჭერა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპები და სხვა. ამ თვალსაზრისით, სამი მნიშ-ვნელოვანი წინაღობა არსებობს. პირველი, თუ რადიკალური მემარ-ჯვენეობა დემოკრატიული, თუმცა ანტილიბერალური იდეოლოგი-აა, რით განსხვავდება ის „არალიბერალური დემოკრატიის“ მახასი-ათებლებისგან? მოცემული კონცეპტუალიზაციით, ფაქტობრივად - არაფრით; მეორე, რამდენად შესაძლებელია ლიბერალურ-დემოკ-რატიულ პოლიტიკურ სისტემებში აქტივისტი, მოძრაობა ან პოლი-ტიკური პარტია შეეწინააღმდეგოს მის მხოლოდ ერთ ასპექტს და ამავდროულად მხარდაჭერა გამოუცხადოს ზოგადად ჩარჩოს? ამ-გვარი განმარტებით, ეს ნაკლებად რეალისტური შეიძლება იყოს. დაბოლოს, რით განსხვავდება მემარჯვენე რადიკალიზმის ამგვარი განმარტება ნებისმიერი პოლიტიკური ძალისგან, რომელიც უბრა-ლოდ ლიბერალურ იდეოლოგიას არ იზიარებს? ამგვარი კონცეპ-ტუალიზაციით, ნებისმიერი არაცენტრისტული კონსერვატიული ან/და ნაციონალისტური პარტია, რომელიც დემოკრატიის „ლიბე-რალურობას“ ეწინააღმდეგება, შესაძლოა მემარჯვენე რადიკალუ-რად შეფასდეს. ეს მიდგომა კი ამძაფრებს იმის საშიშროებას, რომ ნებისმიერი ჯგუფი თუ პარტია, რომელიც ცენტრისტულ პოლიტი-კას არ იზიარებს, იმთავითვე „რადიკალურად“ იყოს შეფასებული.

ავტორთა მეორე ნაწილი, რომელიც, ძირითადად ანგლო-საქსური სკოლის წარმომადგენლების იდეებს ეყრდნობიან ან/და ნაკლებად ეხებათ გერმანული გამოცდილების კვალი, რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ტერმინებს ურთიერთმონაცვლედ იყენებენ. მეტიც, ხშირად, შედარებით ნაკლებად პრობლემატური ტერმინი - ულტრამემარჯვენეობა გამოიყენება (Ivaldi, 2004; Hainsworth, 2008). ამდენად, ფაშისტური გამოცდილების არქონამ და ცენტრისტული პოლიტიკური პრინციპებისგან განსხვავებულმა ანტი-გლობალისტურმა და ანტი-ლიბერალურმა პოლიტიკურმა გზავნილებმა, ანგლო-საქსურ აკადემიურ ლიტერატურაში, მემარჯვენე რადიკალიზმი შეფარდებით ტერმინად აქცია. ეს კი ზოგჯერ ძალადობრივ ქმედებებასაც გულისხმობს, ვინაიდან მისი მიზანი ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილებებია, რაც იმთავითვე გულისხმობს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების უარყოფას (Beck and Colin, 2016). თუმცა, აღნიშნული მიდგომაც აჩენს რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას. პირველი, თუ მემარჯვენე რადიკალიზმი და ექსტრემიზმი სინონიმებია და ეს ძალადობრივი ქმედებების გამოყენებასაც გულისხმობს, მაშინ რა ეწოდება ისეთ პოლიტიკურ პარტიას, ჯგუფს ან აქტივისტს, რომელიც იზიარებს მსგავს პოლიტიკურ პოზიციებს, თუმცა რჩება მშვიდობისა და დემოკრატიულობის ჩარჩოში; მეორე, რამდენად შესაძლებელია რადიკალურად განწყობილი მემარჯვენე ძალის მიზანი ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილებები იყოს, მაშინ რით განსხვავდება ის რადიკალური მემარცხენე მოძრაობის მიზნებისგან? ამგვარი კონცეპტუალიზაციით - ვერაფრით. დაბოლოს, თუ რადიკალური, ექსტრემისტული და ულტრამემარჯვენე ტერმინები ურთიერთგამოყენებადია, როგორ უნდა გავარჩიოთ ულტრანაციონალისტური, ნეოფაშისტური ან ძალადობრივი პოლიტიკური პარტიები, მოძრაობები და აქტივისტები ერთმანეთისგან? ამგვარი კონცეპტუალიზაციით, გამოდის, რომ ყველა, ვინც კი ლიბერალური დემოკრატიის წინააღმ-

დეგ მოსაზრებას აჟღერებს (იმისდა მიუხედავად ეს არის ფუნდე-მანტური, ნაწილობრივი თუ საკითხებზე ორიენტირებული წინა-აღმდეგობა ექსტრემისტი/რადიკალი/ულტრა მემარჯვენეა.

მართალია, ბოლო რამდენიმე ათწლეულია ბევრი ავტორი წერს მემარცხენე რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის საკითხებზე და პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მოძრა-ობის თემაზე საკმაოდ მოცულობითი ინფორმაციაა შეგროვებული, დამუშავებული და ახსნილი - აღნიშნული ტერმინის ირგვლივ აკ-ადემიურ სივრცეში კონსენსუსი მაინც არ არსებობს. ელიზაბეთ კარტერი (2018) ცდილობს ახსნას, თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზე-ზი და კონკრეტულად რაზე ვერ თანხმდება სამეცნიერო საზოგა-დოება. ამდენად, კარტერმა გაიზიარა ჯოვანი სარტორის (1984) ცნე-ბათა შესწავლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია თავდაპირველად შეგროვდეს ყველა განმარტება, შემდეგ გამოვ-ლინდეს მათი ძირითადი მახასიათებლები დაბოლოს, აიგოს ამ გან-მარტებების შემაჯამებელი მატრიცა. კარტერის ხედვით, „მემარჯვე-ნე რადიკალიზმი/ექსტრემიზმის“ ცნების სხვა ცნებებისგან განსხვა-ვება უნდა ვეძებოთ მის მინიმალურ განმარტებაში, იგულისხმება იმაზე ფოკუსირება, რაზეც ავტორთა უმეტესობა თანხმდება. კარ-ტერის თქმით, თითქმის ყველა შეთანხმებულია, რომ ეს არის იდე-ოლოგია და მას აქვს მემარჯვენე ხასიათი. ამდენად, მისთვის მემარ-ჯვენე რადიკალიზმის/ექსტრემიზმის ცნება განმარტების დონეზე, მემარჯვენე იდეოლოგიასთან ასოცირდება (Carter, 2018). რაც შეეხე-ბა რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ცნებების განსხვავებებს, გერ-მანული ტრადიციის მომხრეები, რომლებიც, სარტორის პრინციპს მიჰყვებიან, რამდენიმე საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას. მაგა-ლითად, ჰანს-გეორგ ბეტზი (1998) აღნიშნავს, რომ თანამედროვე რადიკალური მემარჯვენე პარტიები და მოძრაობები იმით გან-სხვავდებიან ექსტრემისტებისგან, რომ ისინი არ უარყოფენ დემოკ-რატიული თამაშის წესებს და ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა: პი-

როვნული თავისუფლება და ფუნდამენტური უფლებების დაცვა, თანასწორობის პოლიტიკა. ანალოგიურად, მინკენბერგი (2003) აღნიშნავს, რომ ახალი რადიკალური მემარჯვენეობა, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ანტიდემოკრატიულ ელფერს ნაკლებად ატარებს. რაც შეეხება სკენდეროვიჩს (2010), ის მიუთითებს, რომ რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობა თანხვდება ისეთ საკითხებში, როგორიცაა ულტრანაციონალიზმი და ქსენოფობია, თუმცა, მემარჯვენე რადიკალიზმი, განსხვავებით ექსტრემიზმისგან, არაა ისე მტრულად განწყობილი დემოკრატიული ფასეულობებისადმი. კოპსეი (2008) წერს, რომ თანამედროვე რადიკალურ მემარჯვენე მოძრაობებს არ აქვთ ფუნდამენტური და რევოლუციური განწყობები ლიბერალურ-დემოკრატიული წყობის მიმართ. იგნაზი (2002) აღნიშნავს, რომ განსხვავება სწორედ ანტი-დემოკრატიული პროცესებია, თუმცა, აღნიშნავს, რომ ასეთი ძალები თავიანთი რიტორიკითა და პოლიტიკით, ცდილობენ არსებული დემოკრატიული სისტემის დელეგიტიმაციას და ამდენად, ანტი-სისტემურ მოძრაობებად ყალიბდებიან.

აღსანიშნავია, რომ პიერო იგნაზიმ (1992) მემარჯვენე ექსტრემისტული მოძრაობები ორ, ძველ და ახალ ნაწილად დაყო. კლასიფიცირების მთავარი მიზეზი ფაშისტური მემკვიდრეობისა და პოლიტიკური სისტემის პოზიციებია. იგნაზის ლოგიკით, ძველი მემარჯვენე ექსტრემისტული ძალებისთვის დამახასიათებელია ნეონაცისტური და ნეო-ფაშისტური იდეოლოგია, ხოლო, ახლები ფოკუსირებული არიან ნაციონალიზმსა და ანტი-იმიგრაციის საკითხებზე. საინტერესოა, რომ მონსერატ გიბელნუმ (2010) ამას უწოდა ახალი რადიკალური მემარჯვენეობა. მისი ლოგიკით, ამ ცნების ქვეშ მოიაზრება ისეთი პოლიტიკური იდეები და პოზიციები (და მათ უკან ჯგუფები და პარტიები), რომელთა მიზანი არ არის ლიბერალური დემოკრატიის ფაშისტური ან ავტორიტარული რეჟიმებით ჩანაცვლება. ახალი რადიკალური მემარჯვენეობა აკრიტიკებს

სტატუს კვოს და უჭირავს ანტიელიტური პოზიციები. ამდენად, ხშირად ასოცირდება ნაციონალიზმთან, ანტისაიმიგრაციო პოლიტიკასთან, პოპულიზმთან და ანტი-ისტებლიშმენტურ მოძრაობებთან; ისინი, ითხოვენ დემოკრატიულ რეფორმას, რაც გულისხმობს დასავლური ღირებულებებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვას, ერის ჰომოგენურობაზე აქცენტით (Guibernau, 2010). როგორც ავტორები (Dean, Bell and Vakhitova, 2016, გვ. 123-124) აღნიშნავენ, ახალი რადიკალური მემარჯვენეობა ექვსი ნიშნით შეიძლება დახასიათდეს. ესენია: ანტი-საიმიგრაციო რიტორიკა (გულისხმობს იმიგრანტებისა და ლტოლვილების მიმართ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას და მათ წარმოდგენას დასავლური ღირებულებებისა და ეროვნული კულტურული თვითმყოფადობასთან შეუთავსებლად); ანტი-ელიტისტური პოზიცია (პოლიტიკური ელიტისა და მათ მიერ გატარებული პოლიტიკური კურსების სრული დისკრედიაცია, რომელიც დანახულია, როგორც კორუმპირებული და ანტი-სახალხო და ამდენად, მათი მორალური და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენება); დასავლური ღირებულებების მხარდამჭერად თვითიდენტიფიკაცია (ფოკუსი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საკუთარი კულტურისა და ენის პრიორიტეტიზაცია და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სოციალური კეთილდღეობის უკეთესი პაკეტის შეთავაზება; ამავდროულად, მოქალაქეობის მინიჭების წესის გამკაცრებისა და კულტურული პროტექციონიზმის მოთხოვნა); დემოკრატიული რეფორმის იდეა (პირდაპირი და პლებისციტური დემოკრატიის გაძლიერება რეფერენდუმების გაზრდის გზით, პარტიებისა და პოლიტიკოსების გარიგებებსა და ინსტიტუციურ ელიტიზმში დადანაშაულება); ტრადიციული ღირებულებების დამცველად თვითიდენტიფიცირება (მულტიკულტურალიზმის, როგორც განწირული იდეოლოგიური და გლობალისტური პროექტის კრიტიკა მისი ანტი-ეროვნული ხასიათის გამო; კეთილდღეობის, შოვინიზმის პოლიტიკური კურსების მხარდა-

ჭერა); ძლიერი სახელმწიფო/კანონიერება და წესრიგი (ფოკუსი ეროვნული ღირსების აღდგენაზე და სახელმწიფოს, როგორც კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის მთავარი გარანტის აღიარება).

როგორც ვხედავთ, გერმანული სკოლის წიაღში ჩამოყალიბებული ახალი რადიკალური მემარჯვენეობისა და ანგლო-საქსურ მიმდინარეობაში არსებული რადიკალური ექსტრემიზმის ზოგიერთი განმარტება მართლაც ერთმანეთის მსგავსია. მიუხედავად ამისა, ეს აკადემიური დისკუსიის თუნდაც ერთი ეტაპის დასრულების ნიშანიც არ არის. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ამ მიმდინარეობაში და, შესაძლოა მათ გარეთაც, შედარებით, ზოგადი და შეიძლება ითქვას, უფრო ხშირად გამოყენებული ტერმინი - ულტრამემარჯვენეობა იკიდებს ფეხს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ცნებები გადატვირთულია აზრთა წინააღმდეგობებითა და მიდგომებს შორის განსხვავებებით, შუალედური ან ნაკლებად გადატვირთული ცნება, შესაძლოა ტერმინოლოგიური გაურკვევლობის პრობლემისგან დროებითი გამოსავალი იყოს. მიუხედავად ამისა, ულტრამემარჯვენეობის ცნების კონცეპტუალიზაციისას მაინც ჩნდება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა მისი მახასიათებელი რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ძალადობა, ფაშიზმი/ნეოფაშიზმი, ნაციზმი/ნეონაციზმი, ანტიდემოკრატიულობა და ანტილიბერალურობა. ამიტომაც, სხვა, ახალი ცნების შექმნა ან გამოყენება ზემოთჩამოთვლილ პრობლემებს მაინც ვერ მოაგვარებს.

მემარჯვენე რადიკალიზმისა და მემარჯვენე ექსტრემიზმის ცნებები: ქართულენოვანი ლიტერატურის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულენოვან აკადემიურ ლიტერატურაში რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის თე-

მებით დაინტერესება აშკარაა. ამის რამდენიმე ძირითადი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველი, სავარაუდოდ, ისაა, რომ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში გამოჩნდენ ისეთი ტიპის მოძრაობები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც, შესაძლოა იზიარებდნენ მემარჯვენე რადიკალურ ან/და მემარჯვენე ექსტრემისტულ პოლიტიკურ პოზიციებს. მეორე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი არის დასავლურ (უმეტესად ევროპულ) სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თემისადმი განსაკუთრებულად მაღალი ინტერესი. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ელექტრონულ საძიებო სისტემებში მოძიებული ნაშრომები ბოლო 5 წლის განმავლობაშია შექმნილი და რაოდენობრივი თვალსაზრისით, ტენდენცია აშკარად მზარდია. ცხრილ N1-ში წარმოდგენილია მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილი სხვადასხვა ტიპის ნაშრომის რაოდენობა და მათში ზემოთგანხილული ცნებების გამოყენების სიხშირე.

ცხრილი N1

ნაშრომის ტიპი	სულ რაოდენობა	რამდენ ნაშრომშია გამოყენებული „მემარჯვენე რადიკალიზმი“	რამდენ ნაშრომშია გამოყენებული „მემარჯვენე ექსტრემიზმი“	რამდენ ნაშრომშია გამოყენებული „ულტრამემარჯვენე“
სამეცნიერო სტატია	5	4	0	3
კვლევითი ორგანიზაციის პოლიტიკის ბლოგი/ანგარიში	9	2	2	8
კვლევითი ანგარიში	4	3	1	2
საკვალიფიკაციო ნაშრომი	6	4	2	2

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი „ულტრამემარჯვენე“, რის მიზეზებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასევე საინტერესოა, რომ უფრო ნაკლებად გამოიყენება ტერმინი „მემარჯვენე ექსტრემიზმი“, ვიდრე „მემარჯვენე რადიკალიზმი“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შესწავლილი 24 ნაშრომიდან 12-ში ზემოთჩამოთვლილი ტერმინები ურთიერთშემავსებელია და სინონიმებადაა გამოყენებული. საინტერესოა ისიც, რომ მხოლოდ 3 ნაშრომშია მითითებული თეორიული წყარო, აქედან 2-ში ავტორები ეყრდნობიან კას მუდესეულ გაგებას, ხოლო 1 ნაშრომი იზიარებს ახალი რადიკალური მემარჯვენეობის პარადიგმას. საკითხის სიღრმისეულად განხილვის მიზნით, წარმოდგენილია თითოეული ნაშრომის კრიტიკული ანალიზი.

სამეცნიერო სტატიები წარმოდგენილია სამეცნიერო ჟურნალ „პოლიტიკაში“. მალხაზ მაცაბერიძე (2018, გვ.4) თავის სამეცნიერო სტატიაში, რომელიც ქართული ფაშიზმის სათავეების კვლევას შეეხება, იყენებს ტერმინებს რადიკალური ექსტრემიზმი და მემარჯვენე იდეოლოგია. ამის მახასიათებლად კი, მიიჩნევს ინტეგრალურ ნაციონალიზმს, რაც ავტორისეული ხედვით, საზოგადოებრივი წესებისადმი არალიბერალური და ზოგჯერ ტოტალიტარული მიდგომაა, რაც საერთო იდეებისადმი სრულ მორჩილებას ქადაგებს.

ნინო მაისურაძის სამეცნიერო სტატიის (2019) მიზანს ქართული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემების იდეოლოგიური პროფილის ანალიზი წარმოადგენს. მის კვლევაში წარმოდგენილია ოთხი ასეთი ინტერეტ-პროფილის მქონე გაერთიანება: „საქართველოს სამეფო“, „ქართული იდეა“,“კარდჰუ“ და „საქართველოს ეროვნული ერთობა“. ავტორის მიერ ტერმინ „ეროვნულ-პატრიოტულის“ გამოყენება განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული გაერთიანებები სწორედ ასე აიდენტიფიცირებენ თავს. ამ თვალსაზრისით, სამი საკითხია მნიშვნელოვანი. სამეცნიერო სტატიაში არ ჩანს წყარო, რომელიც თვალნათლივ დაგვანახებდა, რომ

ოთხივე ეს გაერთიანება საკუთარ ორგანიზაციას უწოდებს „ეროვ-ნულ-პატრიოტულს“. მეორეც, აუცილებელია იმის გარკვევა, რატომ აქვთ მსგავსი თვითიდენტიფიკაცია ისეთი ტიპის გაერთიანებებს, რომელთა იდეოლოგიური პროფილი არცთუ იდენტურია და რამ-დენად კოორდინირებული შეიძლება იყოს მათი აქტიურობა სოცი-ალურ ქსელებში. დაბოლოს, სამეცნიერო სტატიის დასკვნაში წარ-მოდგენილია ის, თუ რამდენად აქტიურები არიან ისინი სოციალ-ურ ქსელებში, რამდენად პერსონიფიცირებულები არიან ესა თუ ის ჯგუფები და რას საქმიანობენ ამ გაერთიანებების ლიდერები; ასევე, საბოლოოდ მითითებულია, რომ მათი მიზანი „ანტიდასავლური განწყობების“ გავრცელება და გაძლიერებაა (მაისურაძე, 2019, გვ, 24). უშუალოდ ამ ორგანიზაციების იდეოლოგიური პროფილის განხილვის შემდეგ, ავტორს ნაკლებად აქვს მიმოხილული მსგავსი ტიპის მახასიათებლების მქონე არაფორმალური ორგანიზაციების მაიდენტიფიცრებელი ნიშნები, რაც, შეიძლება უკავშირდებოდეს ნაციონალიზმს, ულტრამემარჯვენეობას და სხვა.

ლევან ლორთქიფანიძის სამეცნიერო სტატიის (2018) მიზანს 2010-იანი წლების ევროკავშირის წევრი ქვეყნების რადიკალური მე-მარჯვენე პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციების წარ-მოჩენა წარმოადგენს. ავტორი იყენებს ტერმინს „რადიკალური მე-მარჯვენე პარტიები“ და ჩამოთვლის იმ მახასიათებლებს, რაც მსგავსი ტიპის პოლიტიკურ პარტიებს ახასიათებთ. ავტორის მტკი-ცებით, რადიკალურ მემარჯვენე პარტიებს ხუთი ძირითადი მახა-სიათებელი აქვს. პირველი, ესაა მსგავსი ტიპის პოლიტიკური გაერ-თიანებების იდენტობის გამიჯვნა ტრადიციული, კონსერვატიული, ქრისტიან-დემოკრატიული და მემარჯვენე-ცენტრისტული პარტი-ული ოჯახისგან; მეორე, ევროსკეპტიციზმის რბილი და ხისტი გა-მოვლინებები; მესამე, ნატივიზმის, ეთნიკური და კულტურული ჰომოგენურობის მხარდაჭერა, ადგილობრივებისა და არაადგილობ-რივების მკაფიო გამიჯვნა რასაზე, კულტურაზე, რელიგიაზე, ენასა

და ეთნიკურობაზე ფოკუსირებით; მეოთხე, დემოკრატიის ანტი-ლიბერალური კრიტიკა და ეთნოკრატიის ქადაგება; და მეხუთე, ანტიელიტური პოპულისტური რიტორიკა საზოგადოების ორ ურთიერთსაწინააღმდეგო და მონოლითურ ნაწილად (სუფთა ხალხი კორუმპირებული ელიტის წინააღმდეგ) წარმოსაჩენად (ლორთქიფანიძე, 2018, გვ.5) აღსანიშნავია, რომ ავტორი მსგავს კონცეპტუალიზაციას ავითარებს სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებათა ინტერპრეტაციაზე დაფუძნებით. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი მახასიათებლები „მემარჯვენე რადიკალიზმის“ ცნებისთვის არსებითად დამახასიათებელია, შესაძლებელია რამდენიმე პრობლემური საკითხის გამოყოფა. პირველ ყოვლისა, აშკარაა, რომ ავტორი არ მიჯნავს რადიკალურ და ექსტრემისტულ მემარჯვენეობას, რისი დასტურიც არის ის, რომ სტატიაში რამდენიმე ადგილზე ექსტრემისტული პარტიები წარმოდგენილია, როგორც რადიკალური მემარჯვენე პარტიების ნაირსახეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ცდილობს რადიკალური მემარჯვენე პარტიების ტიპოლოგიას და მთავარ ინსტრუმენტად იყენებს ევროპის პარლამენტში წარმოდგენილ საპარლამენტო ფრაქციებს და მათ პოზიციას „უცხო“ ჯგუფთა ინტერპრეტაციაზე. ავტორის თქმით, მემარჯვენე ექსტრემისტული პარტიები (აქ სამეცნიერო სტატიაში ნაგულისხმებია ნაცისტური და ფაშისტური გაერთიანებების სამართალმემკვიდრეები) რადიკალური მემარჯვენე პარტიების ბანაკში მყოფი ჯგუფია. მის მახასიათებლებად კი ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი ფაქტორები: ნაცისტური/ფაშისტური წარსულის გადააზრების საკითხი; ანტიდემოკრატიული დღის წესრიგი; რასისტული ნარატივი და ანტისემიტიზმი. ავტორისეული ლოგიკით, მემარჯვენე ექსტრემისტული პარტიები ევროპის პარლამენტში არ არის წარმოდგენილი. გარდა ამ ჯგუფისა, ავტორი რადიკალური მემარჯვენე პარტიების კიდევ ერთ სახეობას, მემარჯვენე-პოპულისტებს გამოყოფს (ლორთქიფანიძე, 2018, გვ.21) აქ ევროპის პარლამენტის წამყვანი ნაციონ-

ალისტური ძალები მოიაზრება, რომელთა იდეოლოგიური საყრდენი ეთნოპლურალიზმია, რომელიც ყველა ერის თავის საარსებო ტერიტორიაზე ცხოვრებას უჭერს მხარს და ეწინააღმდეგება მულტიკულტურალიზმს. მესამე ჯგუფად კი წარმოდგენილია კონსერვატიული ევროსკეპტიკური ძალები. გასაგებია, რომ მსგავსი ტიპის განაწილების მთავარი ლოგიკა მეტ-ნაკლებად განსხვავებული პოლიტიკური პარტიებისთვის სხვადასხვა ტიპოლოგიაში გადანაწილებაა, მიუხედავად ამისა, მაინც გაუგებარი რჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი, რამდენადაა შესაძლებელი ტერმინი „მემარჯვენე ექსტრემიზმი“ იყოს რადიკალური მემარჯვენეობის ნაირსახეობა, მით უფრო მაშინ, როცა პირველი მათგანი, მეორისგან განსხვავებით, რასობრივ-ბიოლოგიურ განსხვავებებზეა ორიენტირებული. აშკარაა, რომ ავტორი იზიარებს „რადიკალური“ და „ექსტრემისტული“ მემარჯვენეობის ტერმინების გამიჯნვის იდეას, თუმცა მეორე პირველის ნაირსახეობად და ზოგჯერ, სინონიმადაც მიაჩნია. ასევე, გაუგებარია, რა არსებითი განსხვავებაა მემარჯვენე-პოპულისტებსა და ნაციონალისტურ ევროსკეპტიკურ ძალებს შორის, თუ ორივე „რადიკალური მემარჯვენეობის“ ცნების ქვეშ მყოფი ჯგუფების დასახელებებია. ავტორი აღნიშნავს, რომ ევროსკეპტიციზმიც და ანტიელიტისტური პოპულიზმიც თანაბრადაა რადიკალური მემარჯვენეობის მახასიათებელი, ამგვარი ტიპოლოგიით კი გამოდის, რომ ზოგიერთი „რადიკალური მემარჯვენე“ პარტია შეიძლება იყოს მხოლოდ პოპულისტური, ხოლო, ზოგიერთი მხოლოდ ევროსკეპტიკური, რაც თავდაპირველად ჩამოთვლილ საერთო არსებით მახასიათებლებს ეჭვქვეშ აყენებს.

ეკა დარბაიძის სამეცნიერო სტატიები (2020ა, 2020ბ) ეხება საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის“ პოლიტიკური თავისებურებების შესწავლას, ერთი მხრივ, მის ტრანსფორმაციასა და გენდერულ პოლიტიკას, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად მისი მზარდი მხარდაჭერის მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ ორივე სამეცნიერო სტა-

ტიაში გამოყენებულია აღნიშნული პარტიის პროგრამებისა და პარ-ტიული ლიდერების განცხადებების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ორივე სტატიაში, ერთმანეთის სინონიმებად გამოყენებულია შემ-დეგი ცნებები: ულტრამემარჯვენე ძალები, რადიკალი მემარჯვენე პოპულისტი, რადიკალი მემარჯვენეები, უკიდურესად მემარჯვენე. უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება აშკარად ბუნდოვანია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ავტორი არ გვთავაზობს რომე-ლიმე თეორიულ ჩარჩოს ან განმარტებას, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს უკიდურეს, რადიკალურ ან ულტრამემარჯვენე ძალას შორის. ეს, სავარაუდოდ, აიხსნება იმით, რომ თითოეულ ამ ტერ-მინს იყენებს სხვადასხვა ავტორი, რომელსაც ეკა დარბაიძე თავის სტატიაში იმოწმებს. მიუხედავად ტერმინოლოგიური ბუნდოვანე-ბისა, მაინც შესაძლებელია სტატიიდან ამ „სინონიმური ცნებების“ მახასიათებლების გამოკვეთა, ესენია: ანტისაიმიგრაციო პოლიტიკა, ანტიელიტიზმი, ქარიზმატული ლიდერის არსებობა, სახალხო სუ-ვერენიტეტის მხარდამჭერად თვითიდენტიფიცირება, ანტიიმიგრა-ციული და ანტიისლამური რიტორიკა. ამ მახასიათებლების ჩამოთ-ვლის შემდეგ, კიდევ უფრო ბუნდოვანია, რატომ შეიძლება ისინი აღწერდნენ უკიდურეს მემარჯვენე ძალებს და არა, მაგალითად, რა-დიკალურებს.

აღსანიშნავია, რომ კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქ-ვეყნებული პოლიტიკის დოკუმენტები და ბლოგები ძირითადად, წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ, თუმცა სხვადასხვა ავტორს განსხვავებული მოსაზრება აქვს გაზი-არებული. ნინო კვირიკაშვილი (2021) თავის ბლოგში იყენებს ტერ-მინს „ულტრამემარჯვენე ჯგუფები“ და აღნიშნავს, რომ ისინი ავ-ლენენ ანტი-უმცირესობათა, განსაკუთრებით კი ანტი-ლგბტი რი-ტორიკას, ასევე სრულად იყენებენ თავიანთი გამოხატვის თავისუფ-ლეების რეალიზებას და ამას იყენებენ სხვა ჯგუფების ფუნდამენ-ტური გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის. ნინო გოზა-

ლიშვილი (2021) თავის ბლოგში იყენებს ტერმინს „ულტრამემარ-ჯვენე ჯგუფები“ და აღნიშნავს, რომ მათთვის დამახასიათებელია ანტი-ლიბერალური და ნაციონალისტური შეხედულებები, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სიახლოვე, ჰომოფობიური და ანტისაიმიგრაციო პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ სალომე კანდელაკი (2019) ტერმინს „მემარჯვენე ნაციონალისტური ექსტრემისტები“ იყენებს ქართული მარშის, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა და ვასაძის მომხრეების მაიდენტიფიცირებლად და აღნიშნავს, რომ „აკადემიურ და ანალიტიკურ“ წრეებში მათ სწორედ ასე მოიხსენიებენ. ამ გაგების მახასიათებლად კი, რელიგიურ გრძნობებზე, ტრადიციებსა და ქართველობის დაკარგვაზე აპელირება მოიხსენიება.

ადრიანა სტეფანი (2020) იყენებს ტერმინს ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მათ მიაწერს საქართველოს პატრიოტთა ალიანსს, ქართულ მარშს, ქართულ იდეას, ძალასა და ეროვნულ ერთობას, მათ საერთო მახასიათებლად კი მიჩნეულია ანტილიბერალური ნარატივები. მათი რიტორიკა მერყეობს მკვეთრად პრომართლმამდიდებლურიდან ნეოფაშისტურამდე. ავტორი აღნიშნავს, რომ რადიკალური, ექსტრემისტული და ულტრამემარჯვენეობა სინონიმებია, ხოლო ამ ნაშრომში რეალურად, ულტრამემარჯვენე მაინც უფრო რადიკალურს ეყრდნობა და იმოწმებს კას მუდეს (2000). სტეფანი ასევე აღნიშნავს, რომ ქართული მარში მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფია. თუმცა ნაშრომში არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს ულტრამემარჯვენის ცნება და რა ძირითადი პოლიტიკური პოზიციების მატარებელ ჯგუფებს მოიხსენიებს ამ ტერმინით ან ვის ეყრდნობა, როცა კონკრეტულ ჯგუფებს სწორედ ამ იარლიყს ანიჭებს. ასევე, გაუგებარია, თუ ულტრამემარჯვენე გამოიყენება, როგორც ზოგადი ტერმინი - რატომ იყენებს ავტორი ზოგჯერ ტერმინს ექსტრემისტული და რით გამოირჩევა ის.

სალომე მინესაშვილი (2019) იყენებს ტერმინს ულტრამემარ-ჯვენე. საინტერესოა, რომ ავტორისთვის პოლიტიკურ პარტიას - სა-

ქართველოს პატრიოტთა ალიანსს მოიაზრებს „ულტრამემარჯვენე პოპულისტურ პარტიად“ (მინესაშვილი, 2019, გვ.1) ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ნაციონალისტური პარტიებისთვის დამახასიათებელია ანტი-ლიბერალური და ანტი-იმიგრაციული რიტორიკა, ასევე აღნიშნულია ქართული მარში და საქართველოს ეროვნული ერთობა. ულტრამემარჯვენეობის მახასიათებლად მიჩნეულია ერის, როგორც მორალურად უპირატესის წარმოჩენა, ანტი-იმიგრანტული და ანტი-უმცირესობების, ანტი-ლიბერალური და ანტი-მულტიკულტურალური პოლიტიკა. ავტორი აღნიშნავს, რომ მათ აქვთ რასისტული და ქსენოფობიური რიტორიკა და ანტიდასავლური განწყობები. ასევე მთავარი მახასიათებელი ქართულ ტრადიციულ ფასეულობებსა და მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ნაციონალიზმია. ასევე, აღნიშნულია, რომ ეს ჯგუფები გენდერული თანასწორობის საკითხს, უმცირესობათა ჯგუფებისა და მიგრანტების თემას უკავშირდება (მინესაშვილი, 2019).

თამთა მელაშვილის (2019) პოლიტიკის დოკუმენტის სათაურშივე აღნიშნულია, რომ ავტორი საქართველოში „მემარჯვენე ექსტრემიზმის“ პოლიტიკურ შესაძლებლობებს განიხილავს. ავტორი აცხადებს, რომ ნაშრომში იყენებს „მემარჯვენე ექსტრემიზმის“ ტერმინს კას მუდესეული გაგებით, რომლის მიხედვითაც ამ ცნების არსებითი ელემენტები: ანტი-კონსტიტუციურობა და ანტი-დემოკრატიულობაა. ეს გულისხმობს ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის მიუღებლობას, მათ შორის ძალადობრივი ქმედებების გამოყენებას, ასევე რასიზმის, ქსენოფობიისა და ნატივიზმის პრინციპების მხარდაჭერას. ავტორის თქმით, საქართველოში არსებული ძალები (მათ შორის ქართული იდეა, ქართული მარში, ქართული ძალა, საქართველოს ეროვნული ერთობა) აკმაყოფილებენ ორივე ამ კრიტერიუმს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა ავტორისგან განსხვავებით, თამთა მელაშვილი ნაშრომის დასაწყისშივე აღნიშნავს, თუ რომელ ჩარჩოზე დაყრდნობით იყენებს ის „მე-

მარჯვენე ექსტრემიზმის“ ცნებას, რამდენიმე საკითხი მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს. პირველი, პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილია რამდენიმე ჯგუფი და ძალა, რაც, ავტორის თქმით, მემარჯვენე ექსტრემიზმის განმარტებას სრულად ერგება, თუმცა არ არის ახსნილი, თუ კონკრეტულად სად და როგორ გამოჩნდა მათი ანტი-კონსტიტუციურობა და ანტი-დემოკრატიულობა. მართალია, ნაშრომში ფრაგმენტულადაა განხილული ძალადობის შემცველი ქმედებების ამსახველი მაგალითები, მაინც გაუგებარია, თუ რის საფუძველზე მოხდა ზემოთაღნიშნული ადამიანებისა თუ ჯგუფების მემარჯვენე ექსტრემისტულად უპირობო დახასიათება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემაა ტერმინთა ურთიერთმონაცვლეობა. ავტორი პერიოდულად იყენებს „რადიკალურ პოპულისტურ მემარჯვენეობას“, „რადიკალურ მემარჯვენეობასა“ და „ულტრამემარჯვენეობას“ ექსტრემიზმის სინონიმებად. თუ ის მიიჩნევს, რომ ყველა ეს ტერმინი ანტი-კონსტიტუციური და ანტი-დემოკრატიული ელემენტების გაზიარებაა, მაშინ, გაუგებარია, თუ როგორ თავსდება ის კას მუდეს მიერ ჩამოყალიბებულ დახასიათებაში. ეს გარემოება აჩვენებს, რომ აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტში სულ მცირე, ტერმინოლოგიური გაუგებრობა გვხვდება.

სალომე მინესაშვილი (2020) თავის ნაშრომში NDI-ის საზოგადოებრივი განწყობის გამოკითხვის 2018 წლის შედეგების რეგრესიული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასკვნებს იმის შესახებ, თუ რით შეიძლება აიხსნას „მემარჯვენე პოპულისტური“ და „ულტრამემარჯვენე“ პოზიციების მხარდაჭერა. თავდაპირველად, უნდა ითქვას ის, რომ ავტორი მემარჯვენე პოპულისტურ და ნაციონალისტურ პოპულისტურ სენტიმენტებს სინონიმებად იყენებს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მემარჯვენეობასა და ნაციონალიზმს შორის იგივეობრივი ტოლობაა დასმული. ამას გარდა, ავტორი არ ასახელებს თუ კონკრეტულად რას მოიაზრებს ულტრამემარჯვენე ან მემარჯვენე პოპულისტური ძალების მახასიათებლებში.

მის რეგრესიულ მოდელში დამოკიდებულ ცვლადად კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისადმი მხარდაჭერაა წარმოდგენილი. სალომე მინესაშვილი (2020, გვ.4) ასეთ პარტიებად ასახელებს: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“, „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნული ფორუმი - გუბაზ სანიკიძე“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ და „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“. გარდა იმისა, რომ ავტორისთვის მემარჯვენე პოპულისტური პოზიციები გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას (რაც, საკმაოდ საკამათო და დაუსაბუთებელი არგუმენტია), ის ერთიანი იარლიყით ახასიათებს საკმაოდ განსხვავებული საგარეო, ეკონომიკური თუ კულტურული ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ პარტიებს იმ ნიშნით, რომ ისინი „მემარჯვენე პოპულისტური“ ძალებია. ავტორის მიერ იდენტიფიცირებულია დამოუკიდებელი ცვლადები: 56 და მეტი წლის მქონე, სოფლად მცხოვრები, საბჭოთა ნოსტალგიითა და ანტიდასავლური საგარეო პოლიტიკური პოზიციების მქონე მოქალაქეებია, რომლებიც ყველაზე მეტად უჭერენ მხარს ამ პოლიტიკურ ძალებს. მართალია, აღნიშნული ცვლადები საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია, ისინი აპრიორი ვერ ჩაითვლება მემარჯვენე პოპულიზმის ამხსნელ მახასიათებლებლად.

ირაკლი ჯღარკავა თავის ნაშრომი (2017) „ქართული მარშის“ მაგალითზე ხსნის, თუ რა მახასიათებლებით გამოირჩევა ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები და რამდენად მსგავსი დისკურსი აქვთ ასეთ ევროპულ ჯგუფებს. ავტორი იყენებს ტერმინს „ულტრამემარჯვენეობა“ და ფოკუსირებულია ანტი-მიგრაციული პოლიტიკისა და რიტორიკის გაძლიერებაზე ევროპასა და საქართველოში. მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია ყველა ტიპის პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება, რომელსაც აქვს ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკის მოთხოვნა, იმთავითვე ულტრამემარჯვენეა თუ არსებობს კი-

დევ რამდენიმე პირობა იმისათვის, რომ გაერთიანებას ულტრამემარჯვენე ეწოდოს? აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში ერთ მონაკვეთში ტერმინი „ულტრამემარჯვენე“ ჯგუფები საქართველოში ჩანაცვლებულია „მემარჯვენე ექსტრემისტული მოძრაობებით“. რამდენად შესაძლებელია ეს ნიშნავდეს, რომ ავტორისთვის ულტრამემარჯვენეობა და ექსტრემისტული მემარჯვენეობა მსგავსი ან თუნდაც იდენტურია? საინტერესოა ისიც, რომ ნაშრომის სხვადასხვა მონაკვეთში ავტორი იყენებს ფრაზას ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური, თუმცა, არ განმარტავს, კონკრეტულად რას გულისხმობს სიტყვათა ამ შეთანხმებაში და რით შეიძლება ის განსხვავდებოდეს ანტი-საიმიგრაციო პოლიტიკის მხარდაჭერისგან. საინტერესოა ისიც, რომ ავტორისთვის საქართველოში არსებული ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართული მარშით“ შემოიფარგლება მაშინ, როცა სხვა ნაშრომებში კიდევ რამდენიმე (და ზოგჯერ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე) გაერთიანების შესახებაა საუბარი.

ალექსანდრე კვახაძე (2018) პოლიტიკის მოკლე მიმოხილვაში იყენებს ტერმინს ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში და ასეთ გაერთიანებებად ასახელებს „ქართულ მარშს“, „საქართველოს ეროვნულ ერთობას“, „ქართულ ძალას“, „ედელვაისსა“ და „ბერგმანს“. ავტორისთვის ულტრამემარჯვენე გაერთიანებები იგივდება სიძულვილის ჯგუფებთან, თუმცა, ვინაიდან ტერმინი ქართულენოვან ლიტერატურაში ახალია, კვახაძის თქმით, უმჯობესია ულტრამემარჯვენეობის ცნების გამოყენება. ავტორის თქმით, ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები ემტერებიან და ებრძვიან იმიგრანტებს, ლგბტ საზოგადოებას, შავკანიანებს, ებრაელებს, მუსლიმებსა და სხვა ჯგუფებს; ასევე ხშირად იყენებს შეთქმულების თეორიებს. ავტორის თქმით, ისინი ირიბად ატარებენ რუსულ ინტერესებს, ერთი მხრივ, არიან რბილი ძალის განხორციელების ინსტრუმენტები და, მეორე მხრივ, არ აპროტესტებენ ოკუპაციისა და თან-

მდევ დარღვევებს. ამდენად, კვახაძის თქმით, საქართველოში ულ-ტრამემარჯვენე ჯგუფებმა შესაძლოა გააძლიერონ ანტიდასავლური რიტორიკა, დააზიანონ საინვესტიციო გარემო და გააღვივონ ეთნი-კური ან/და რელიგიური შუღლი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემუ-ლი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ულტრამემარჯვენე ჯგუფე-ბის პოლიტიკური პოზიციების შესწავლა, ბუნდოვანია ის, თუ კონ-კრეტულად როგორ განმარტავს ავტორი ტერმინს „ულტრამემარ-ჯვენე". ასევე, ნაკლებად მკაფიოა ის, თუ რატომაა ულტრამემარ-ჯვენე გაიგივებული სიძულვის ჯგუფთან ან/და რა ნიშნით და კრი-ტერიუმითაა ჩამოთვლილი მხოლოდ ხუთი გაერთიანება და არა სხვები.

კვლევითი ანგარიშები სხვადასხვა ორგანიზაციას ეკუთვნის და განსხვავებული ფოკუსიდან აფასებენ რადიკალური და ექსტრე-მისტული მემარჯვენეობის საკითხს. დემოკრატიის კვლევის ინ-სტიტუტის ნაშრომის (2019) სათაური „ულტრამემარჯვენე ექსტრე-მიზმისა და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში" აჩვენებს, თუ რომელ ტერმინს შესაძლოა ანიჭებ-დნენ უპირატესობას ავტორები. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის საწყის გვერდებზე განმარტებულია შემდეგი ცნებები: „ულტრამემარჯვენე ჯგუფები" - გაერთიანებები, რომლებიც იყენებენ ქსენოფობიურ, ნა-ციონალისტურ და ჰომოფობიურ რიტორიკასა და აღვივებენ ანტი-ლიბერალურ და ანტიდასავლურ განწყობებს (დემოკრატიის კვლე-ვის ინსტიტუტი, 2019, გვ. 4); „ულტრამემარჯვენე დისკურსი" - იდ-ეოლოგია, რაც ეყრდნობა რასიზმს, ქსენოფობიას, მიზოგენიას, ან-ტისემიტიზმს და ჰომოფობიას (დემოკრატიის კვლევის ინსტიტუ-ტი, 2019, გვ.4). აღსანიშნავია, რომ ავტორები ნაშრომში ძირითად იყენებენ ტერმინს „ულტრამემარჯვენე", ზოგჯერ მის სინონიმად წარმოგვიდგება „რადიკალური მემარჯვენე" და რაც არ უნდა გასაკ-ვირი იყოს, სათაურში გამოყენებული „ექსტრემიზმის" ცნება ნაშ-რომში საერთოდ არ გვხვდება. აღნიშნული ტერმინოლოგიური გა-

უგებრობა ართულებს იმის გააზრებას, თუ კონკრეტულად რას გულისხმობენ ავტორები „ულტრამემარჯვენეობის“, „რადიკალური მემარჯვენეობისა“ და „ექსტრემისტული მემარჯვენეობის“ ცნებებში. მართალია, სარჩევში განმარტებულია, რომ ეს არის ანტილიბერალური და ანტიდასავლური რიტორიკა და სოციალურ და ონლაინ მედიაში არსებული გვერდების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული კვლევის მიგნებებიც ამას ადასტურებს. ნაშრომში აღნიშნულია, რომ „ულტრამემარჯვენეთა“ მთავარი სამიზნე სექსუალური უმცირესობები, ლიბერალები და მიგრანტები არიან, ამდენად, ავტორების დაკვირვებით, ეს ჯგუფები ონლაინ მედიის გამოყენებით, ანტიდასავლურ, ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ და ამავდროულად, პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში შეგროვებულია საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია ამა თუ იმ გვერდიდან, მაინც შესაძლებელია რამდენიმე საკითხის ეჭვქვეშ დაყენება. პირველი, ვინაიდან ნაშრომში აშკარაა ტერმინოლოგიური გაურკვევლობა, საინტერესოა, რის საფუძველზე შეირჩნენ კონკრეტულად ეს გვერდები და რამდენად შეესაბამება სოციალურ ქსელში ვებ-გვერდების რაოდენობა ჯგუფების რაოდენობას. მეორე, ნაშრომში არ არის წარმოდგენილი ის კრიტერიუმი, თუ რის საფუძველზე მიიჩნევს მკვლევარი კონკრეტულ ინფორმაციას „პრორუსულად“, „ანტილიბერალურად“ ან „ქსენოფობიურად“. ამდენად, მხოლოდ ამ ტერმინების ჩამოთვლა და ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებულ კონკრეტულ სიახლეზე კონკრეტული ტერმინის დარქმევა, იარლიყის მიკვრის პრაქტიკისგან თითქმის არაფრით განსხვავდება. დაბოლოს, უმჯობესი იქნებოდა, ნაშრომში მკაფიოდ ყოფილიყო წარმოდგენილი ის თეორიული ჩარჩო და ინდიკატორები, რასაც მკვლევრები ანალიზის დროს ეფუძნებიან.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (2018) მიერ გამოქვეყნებული ანგარიში ეხება „რადიკალური მემარჯვენე“ ჯგუფების ონლაინ მედიაში განხორციელებულ აქტივობებს და მის შინა-

არსობრივ განხილვას. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში გამოყენებულია ტერმინი „რადიკალური მემარჯვენე“, თუმცა არ არის ნათქვამი, თუ კონკრეტულად რა ტიპის პოლიტიკური იდეები და პოზიციები იგულისხმება ამ ტერმინში ან/და რომელი ჩარჩოს დაყრდნობით გამოიყენება ის. აღსანიშნავია, რომ კვლევაში 70-ზე მეტი სოციალური მედიის გვერდი შეისწავლეს, თუმცა შერჩევა დაეყრდნო მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ დაკვირვებებს, რაც გარკვეულ კითხვებს აჩენს. ვინაიდან, ავტორებს არ აქვთ ხაზგასმული თუ კონკრეტულად როგორია რადიკალური მემარჯვენეობის ჩარჩო, ისინი შესაძლოა სწავლობდნენ ისეთ სოციალური მედიის გვერდებს, რომლებიც იდეურად სულაც არ არიან რადიკალურად მემარჯვენე ან გამორჩეთ ისეთები, რომლებიც რეალურად მემარჯვენე რადიკალურ იდეებს ავრცელებენ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „რადიკალური მემარჯვენე“ სოციალური მედიის გვერდებისთვის დამახასიათებელია ისეთ საკითხებზე ფოკუსირება, როგორიცაა: მკვეთრად უარყოფითი პოზიციები ნარკოტიკების ლიბერალიზაციისა და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე; ანტი-იმიგრანტული და ზოგადად, ლიბერალური დემოკრატიის კრიტიკა. კვლევისას განხორციელებულმა შინაარსობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ევროპა და ევროკავშირი ასოცირდება ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკის მიღებასთან, რუსეთი მტერთან, ხოლო თურქეთი იძულებასთან. საინტერესოა, რომ სხვა კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი ტიპის სოციალური მედიის გვერდები ან არ საუბრობენ რუსეთისა და ოკუპაციის საკითხებზე ან/და ირიბად საუბრობენ რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მოცემულ ანგარიშში კი მართალია, არც ისე ძლიერად, როგორც თურქეთი და ევროკავშირი, რუსეთის ცნებაც მეტწილად უარყოფითადაა გამოყენებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი ზემოთაღნიშნული ფაქტორი შეიძლება იყოს, რომლის მიხედვითაც, ავტორებმა შეისწავლეს 70-ზე მეტი სოციალ-

ური მედიის გვერდი, მიუხედავად იმისა, რამდენად იყვნენ ისინი რადიკალური მემარჯვენე პლატფორმის გამზიარებელნი, თავის მხრივ კი, ამის მიზეზი კონცეპტუალიზაციის არარსებობაა.

ტერორიზმის მსოფლიო ტენდენციების მიმოხილვაში მარიამ თოხაძის (2020) ძირითადი აქცენტი ტერორიზმისა და მისი გავრცელების კანონზომიერებაზეა და გამოყენებულია ტერმინი „მემარჯვენე ტერორიზმი“, რომელსაც „მემარჯვენე ექსტრემიზმთან“ აკავშირებს. თავის მხრივ, მარიამ თოხაძე ეყრდნობა ხედვას, რომლის მიხედვითაც ექსტრემისტული მემარჯვენეობა ნეოფაშისტური, ნეონაცისტური და ულტრანაციონალისტური სახესხვაობებით გამოირჩევა (თოხაძე, 2020, გვ.4). ასევე, ნაშრომში აღნიშნულია, რომ ექსტრემიზმი აშკარდ ეყრდნობა სიძულვილს და იყენებს ძალადობას. რაც ყველაზე მთავარია, მის არსებით მახასიათებლად წარმოდგენი-პრინციპი, რომლის თანახმადაც - საერთო ეთნიკური, ეროვნული, ლინგვისტური ან/და რელიგიური ნიშნით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი სხვაზე ბევრად უპირატესია და ამდენად, გაცილებით დიდი უფლებები და პრივილეგიები აქვთ. ეს მიუთითებს, რომ მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები ეწინააღმდეგებიან მრავალფეროვნებასა და ადამიანებს შორის თანასწორობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის გაერთიანებები ნაკლებად სტრუქტურირებული და ორგანიზებულია და, როგორც წესი, ისინი ეყრდნობიან სხვა ტიპის გაერთიანებებისა და მოსაზრებების აშკარა დემონიზაციას, იყენებენ დუალისტურ (ჩვენ და ისინი) რიტორიკასა და ხშირ შემთხვევაში იზიარებენ სხვადასხვა ტიპის შეთქმულების თეორიას. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად გასაგებადაა ჩამოყალიბებული, სხვადასხვა მონაკვეთში გამოიყენება ტერმინი „რადიკალური მემარჯვენე“ ისე, რომ არ არის წარმოდგენილი მისი კონცეპტუალიზაცია, რაც, ბევრი სხვა ქართულენოვანი ლიტერატურისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიური გაურკვევლობის პრობლემას იმეორებს.

გვანცა ჯიბლაძის, დარიკო ბახტურიძის და ნანა ჭაბუკიანის კვლევა (2020) ქალი და ქვიარ აქტივისტების შეზღუდული სივრცის მიზეზებს შეეხება, სადაც ერთ-ერთ მთავარ მიზეზად „რადიკალი მემარჯვენე“ ჯგუფებია დასახელებული. აღსანიშნავია, რომ ბევრი სხვა ანგარიშისგან განსხვავებით, ნაშრომის დასაწყისშივე განმარტებულია თუ, რა იგულისხმება რადიკალურ მემარჯვენეობაში. ავტორთა თქმით, ეს მოიცავს ერთი მხრივ, ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ დღის წესრიგს და მეორე მხრივ, ღიად ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ და ნაციონალისტურ (ჯიბლაძე, ბახტურიძე, ჭაბუკიანი, 2020, გვ.8) იდეებს. მიუხედავად ამისა, მაინც ბუნდოვანია თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ანტიდასავლურ და ანტილიბერალურ რიტორიკაში. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართული მარში, ქართული ძალა, ქართული მისია, ქართული იდეა და სხვა ჯგუფები სრულად აკმაყოფილებენ მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების არსებით მახასიათებლებს. საინტერესოა, რომ ისინი კვლევის ანგარიშში დაკავშირებულნი არიან საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ავტორებმა ამ ჯგუფების აქტივობები და რიტორიკა ქალებისა და სექსუალური უმცირესობების თემებთან მიმართებით გააანალიზეს და დაასკვნეს, რომ ამ ტიპის მემარჯვენე რადიკალური ჯგუფები ფემინისტებსა და ქვიარ-თემის წარმომადგენლებს ეროვნული იდენტობისა და ზოგადად, ქვეყნის მტრად სახავენ.

დაბოლოს, საკვალიფიკაციო ნაშრომებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ღია სამეცნიერო საძიებო სისტემაში არსებული ნაშრომები, საიდანაც სამ ნაშრომში (ბექაია, 2018; შაფაქიძე, 2018; ქაფიანიძე, 2017) გამოყენებულია ტერმინი „რადიკალური მემარჯვენე“ მათ შორის „ქართულ მარშთან“ მიმართებით; ორ ნაშრომში (გელაშვილი, 2019; კუპრეიშვილი, 2019) გვხვდება „ექსტრემისტული მემარჯვენეობის“ ცნება. ხოლო, ქეთევან მურღულია (2019) იყენებს ტერმინს „ულტრამემარჯვენეობა“.

დასკვნა

რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენეობის ცნებებს შორის არსებული ტერმინოლოგიური გაურკვევლობის პრობლემა ამ დარგის მკვლევრებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მცდელობები გერმანული და ანგლო-საქსური სკოლების გამოცდილებების დაახლოვებისა, აშკარაა, რომ სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად იყენებს. ამას ემატება ისიც, რომ უშუალოდ ეს ცნებები კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებს, მოძრაობებსა და აქტივისტებს მიემართებათ. ქართულენოვანი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის შემდეგ, შეგვიძლია რამდენიმე ძირითად საკითხზე ვფოკუსირდეთ. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ თემისადმი აკადემიური და კვლევითი ინტერესი აშკარაა და ის მზარდია. მეორე, როგორც ჩანს, როგორც კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტებთან დაკავშირებული დიდი ნაწილი მეცნიერები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას აღნიშნულ „ტერმინოლოგიურ გაურკვევლობას“, ვინაიდან შესწავლილ ნაშრომთა ნახევარში ზემოთგანხილული ცნებები აბსოლუტურ სინონიმებად გამოიყენება თან ისე, რომ არ არის მითითებული ეს ავტორისეული პოზიციაა თუ უბრალოდ გაუგებრობა, რაც შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა, ამ მხრივ, ჯერ კიდევ მწირია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცალსახად იმის თქმა, რომ შესწავლილი ნაშრომების უმეტესობა ანგლო-საქსურ გამოცდილებას იზიარებს რთულია, მიუხედავად ამისა, იმ ნაშრომებში, რომლებშიც მცირე თეორიული განმარტება/ჩარჩო მაინც არის წარმოდგენილი, იგრძნობა კას მუდეს ტიპოლოგიისადმი მიმხრობის ტენდენცია. თუმცა, ვფიქრობ, ამის მიზეზი, სავარაუდოდ ისაა, რომ ამ დარგში, ის ყველაზე მაღალციტირებადი ავტორია. განხილული ქართულენოვანი ნაშრომების უმეტესობაში კონკრეტული ქართული პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები უპირობოდ იყო დახასიათებული რა-

დიკალურ ან/და ულტრამემარჯვენე ძალებად. მართალია, ზოგიერთ მათგანში მახასიათებლები იყო ჩამოთვლილი, თუმცა, არ ჩანდა, თუ კონკრეტულად რა თვლადი და გაზომვადი ინდიკატორების საფუძველზე მიიჩნია ავტორმა ესა თუ ის გაერთიანება რადიკალურ ან ულტრამემარჯვენედ. ამდენად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოცემული ჯგუფებისა თუ გაერთიანებების სტატუსი იმთავითვე, წინასწარვეა განსაზღვრული, თუმცა, ნაკლებად ჩანს, თუ რამდენად ეფუძნება მეცნიერულ საფუძვლებს.

ნაშრომი აერთიანებს ამ თემაზე არსებულ აკადემიურ და კვლევით ბიბლიოგრაფიას და მისი შემდგომი გამოყენება ორი ძირითადი მიზნითაა შესაძლებელი. პირველ ყოვლისა, აქ განხილული წარმოდგენილი ნაშრომები შესაძლოა სხვა ავტორებმა გამოიყენონ სამომავლო კვლევებისთვის თუ მათი ნაშრომი საქართველოში რადიკალური/ულტრა/ექსტრემისტული მემარჯვენეობის თემას შეეხება. და მეორე, უფრო სისტემურად და სიღრმისეულად გაანალიზდეს თუ რომელ სკოლასა თუ მიდგომას უნდა დაეყრდნოს ქართული გამოცდილება. ამისათვის კი საჭიროა აკადემიურ და კვლევით ნაშრომებში მკაფიოდ ჩანდეს თეორიული ჩარჩო და კონკრეტული აქტივისტის, ჯგუფისა თუ პარტიის დახასიათებისას თვლადი ინდიკატორები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგრძელდება ტენდენცია, როცა ავტორები, ძირითადი მეცნიერული საფუძვლების გარეშე, მხოლოდ ერთმანეთის შეფასებებს მოიხმობენ ციტატებად და ამით ტერმინთა მხოლოდ რაოდენობრივი გამოყენების მაჩვენებელი გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბექაია, ნ (2018). მემარჯვენე სოციალურ მოძრაობებში გაწევრიანების ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზები ქართული მარშის მაგალითზე, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გელაშვილი, ნ. (2019). ტერორიზმის ძირითადი სახეები და განმაპირობებელი ფაქტორები. სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გელაშვილი, თ. (2020). ქართული მედია და მედიაგენური ულტრამემარჯვენეები. პოლიტიკის დოკუმენტი. http://gip.ge/ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90%e1%83%93%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%93%e1%83%98%e1%83%90%e1%83%92%e1%83%94/
- გოზალიშვილი, ნ. (2020). ანტილიბერალურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების ფარული გავლენა ქართულ პოლიტიკაზე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ბლოგი, ნანახია 16.01.2021http://gip.ge/ge/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%91%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%93%e1%83%92%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%ac%e1%83%a7%e1%83%9d%e1%83%91/
- დარბაიძე, ე. (2020ა). საფრანგეთის „ეროვნული ერთობის“ (ყოფილი ნაციონალური ფრონტი) პოლიტიკური ტრანსფორმაცია და პარტიის გენდერული პოლიტიკა, *პოლიტიკა,* 4(1), გვ. 1-30
- დარბაიძე, ე. (2020ბ). მემარჯვენე პოლიტიკური ძალების აღზევება საფრანგეთში და „ეროვნული ერთობის“ წარმატებული რებრენდინგი, *პოლიტიკა,* 4(4), გვ. 1-25

- დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. 2019. ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. ნანახია 18.01.2021 http://www.democracyresearch.org/files/4DRI%20-%204%20tvis%20angarishi.pdf
- თოხაძე, მ. (2020). 2020 წლის მსოფლიო ტერორიზმის ტენდენციის მიმოხილვა. ნანახია 18.01.2021 http://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/69
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2018). ანტიდასავლური დისკურსის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ მედიაში. ნანახია 18.01.2021 http://awdb.ge/files/PPAG_Anti%20western%20propaganda%20in%20social%20media_geo.pdf?fbclid=IwAR2jK5CG4jsAavERHZJVYCr1cfnH8EaDq-AdZbO1HA9xvFIBtWo2l42xxZQ
- კანდელაკი, ს. (2019). საქართველოს პარალელური ნაციონალიზმები, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ბლოკი, ნანახია 16.01.2021 http://gip.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a1%e1%83%9e%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%9c/
- კვახაძე, ა. (2018). ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უსაფრთხოების მიმოხილვა. ნანახია 17.01.2021 https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2666.pdf
- კვირიკაშვილი, ნ. (2021). ქართული ულტრამემარჯვენე რადიკალიზმი გამოხატვის თავისუფლების პრიზმაში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ბლოგი, ნანახია 16.01.2021 http://gip.ge/ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%a

2%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%af%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%9-2/

- კუპრეიშვილი, თ. (2019). ულტრანაციონალისტური ჯგუფების გავლენა ქართულ ონლაინ მედიის წესრიგზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ლორთქიფანიძე, ლ. (2018). რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2010-იანი წლების მაგალითზე), პოლიტიკა, 1(1), გვ-1-27
- მაცაბერიძე, მ (2019). საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ, *ქართული პარლამენტარიზმი,* 1 (2), გვ. 1-26
- მაცაბერიძე, მ. (2020). ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის ისტორიიდან („საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა“), *პოლიტიკა,* 4(2), გვ. 1-23
- მელაშვილი, თ. (2019). მემარჯვენე ექსტრემიზმის პოლიტიკური შესაძლებლობები საქართველოში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი, ნანახია 16.01.2021 http://gip.ge/wpcontent/uploads/2019/05/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-20
- მინესაშვილი, ს. (2019). ულტრამემარჯვენე პოპულიზმის სოციალური საფუძვლები საქართველოში, პოლიტიკის დოკუმენტი, http://gip.ge/wpcontent/uploads/2019/02/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-16.pdf

- მინესაშვილი, ს. (2020). კულტურული ღირებულებები თუ ეკონომიკური საფრთხე: რა განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ მემარჯვენე პოპულიზმის მხარდაჭერას? პოლიტიკის დოკუმენტი, http://gip.ge/ge/%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%a2%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a6%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%-2/
- მურღულია, ქ. (2019). ავტორიტეტთა კონსტრუირების ნაციონალისტური სპეციფიკა ქართულ ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებში.
- სტეფანი, ა. (2020). ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური დღის წესრიგი და მათი შესაძლო გავლენა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, პოლიტიკის მემორანდუმი, ნანახია 16.01.2021 http://gip.ge/wpcontent/uploads/2020/10/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-37%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90.pdf
- ტაბატაძე, ს. (2020). ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები თანამედროვე საქართველოში, *პოლიტიკა,* 4(2), გვ. 1-29
- ქავთარაძე, ლ. (2019). ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. ნანახია 18.01.2021
- ქაფიანიძე, ქ. (2017), საზოგადოების პოლარიზაცია, როგორც პოპულიზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი: საქართველოს მაგალითი. სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- შაფაქიძე, შ. (2018). კატალონიური ნაციონალიზმის გამოწვევები: საერთაშორისო და საშინაო ფაქტორების როლი კატალონიის დამოუკიდებლობის გზაზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ჯიბლაძე, გ., ბახტურიძე, დ., ჭაბუკიანი, ნ. (2020). შეზღუდული სივრცე ქვიარ და ქალი აქტივივისთებისთვის. ნანახია 18.01.2021 http://www.womenfundgeorgia.org/Files/2020_Shrinking-Space-for-Women-and-Queer-Activists_GEO.pdf
- ჯღარკავა, ი. (2017). ანტი-მიგრანტული რიტორიკა საქართველოში: ემუქარება თუ არა საფრთხე საქართველოს პრო-ევროპულ დისკურსს ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან? http://gip.ge/ge/tag/%E1%83%AF%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90/
- Betz, H-G. (1998). Introduction in H-G Betz & S Immerfall (Eds) The New Politics of the Right: Neo-populist Parties and Movements in Established Democracies. New York: St. Martin's Press.
- Betz, H. (2003). Against globalization: Xenophobia, identity politics, and exclusionary populism in Western Europe. Socialist Register, 39, 193–210
- Beck, E.G., Colin, J. (2016). Radicals, Revolutionaries and Terrorists. Cambridge: Polity.
- Bobbio, N. (1996). Left and right: The significance of a political distinction. Chicago, USA: University of Chicago Press.
- Bötticher, A. (2017). Towards Academic Consensus Definitions of Radicalism and Extremism, Perspectives on Terrorism, 11(4), pp. 73-77
- Carter, E. (2005). The extreme right in Western Europe. Manchester University Press, 17
- Carter, E. (2018). Right-wing extremism/radicalism: reconstructing the concept. *Journal of Political ideologies,* 23(2), pp. 157-182
- Copsey, N. (2008). Contemporary British Fascism: The British National Party and Quest For Legitimacy. Bansingsoke: Palgrave

- Dean, G., Bell, P., & Vakhitova, Z. (2016). Right-wing extremism in Australia: the rise of the new radical right. Journal of Policing, Intelligence and Counter Terrorism, 11(2), 121–142. doi:10.1080/18335330.2016.1231414
- Eastwell, R. (2000). The rebirth of the extreme right in Western Europe, Parliamentary Affairs, 53(3), pp. 407-425
- Falter, J., & Schumann, S. (1988). Affinity towards right-wing extremism in Western Europe. West European Politics, 11(2), 96–110.
- Guibernau, M. (2010). Migration and the rise of the radical right. Social Malaise and the Failure of Mainstream Politics. Retrieved March 8, 2016, from http://www.policy-network.net/publications_download.aspx?ID = 3684
- Harrison, S., & Bruter, M. (2011). Mapping extreme right ideology. An empirical geography of the European extreme right. London: Palgrave Macmillan.
- Ignazi. P. (1992). The silent-counter revolution: hypothesis on the emergence of extreme right-wing parties in Europe, European Journal of Political Research, 22 (1), pp. 3-34
- Ignazi, P. (2006). Extreme Right Parties in Western Europe. Oxford: Oxford University Press.
- Jupskas, A.R. (2020). What is right-wing radicalism? Retrieved from: https://www.sv.uio.no/c-rex/english/groups/compendium/what-is-right-wing-radicalism.html 04-01-2021
- Jupkas, A.R., Segers, I.B (2020). Retrieved from: https://www.sv.uio.no/c-rex/english/groups/compendium/what-is-right-wing-extremism.html#end9 04-01-2021
- Heinisch, R. (2003). Success in opposition – failure in government: explaining the performance of right-wing populist parties in public office, West European Politics, 26(3), pp. 82-105
- Klandermans, B., Mayer, N. (2006). Extreme right activists in Europe: Trough the magnifying glass. New York, USA: Routledge.

- Macridis, R. (1989). Contemporary political ideologies: Movements and regimes (4th ed.). Glennview: Scott Foresman and Company
- Mering, S.V., McCarty, T. W. (2013). Right-Wing Radicalism Today: perspectives from Europe and the US, Routledge, New York.
- Merkl, P.H., Weinberg, L. (1997). The revival of right-wing extremism in nineties. London, UK: Frank Cass.
- Minskenberg, M. (2003). The West European Radical Right as a collective actor: modeling the impact of cultural and structural variables on party formation and movement mobilization, Comparative European Politics, 1(2), pp. 132-162
- Mudde, C. (1995). Right-wing extremism analyzed: A comparative analysis of the ideologies of three alleged right-wing extremism parties. *European Journal of Political Research*, 27(2), pp. 203-224
- Mudde, C. (2002). The ideology of the extreme right. New York, NY: Manchester University Press.
- Mudde, C. (2007). Populist radical right parties in Europe. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Randaval, J.A (2016). Right-wing terrorism and violence in Western Europe: Introducing the RTV dataset. *Perspectives on Terrorism*, 10(3), pp. 2-15
- Rydgren, J. (2005). Is extreme-right populism contagious? Explaining the emergence of a new party family, European Journal of Political Research, 44(3), pp.410-442
- Sartori, G. (1984). Guidelines for concept analysis in G. Sartori (Ed.), Social Science Concepts: A Systematic Analysis, Sage: Beverly Hills
- Snow, D., Cross. R. (2011). Radicalism within the context of social movements: processes and types. *Journal of Strategic Security*, 4(4), pp.115-130
- Skenderovic, D. (2009). The Radical Right in Switzerland: Continuity and Change, 1945-2000. New York: Berghan

- Tabatadze, S. (2019). Far right political stances: the same trend in Georgia? Review of Nationalities, (9), 207-222

Sandro Tabatadze

The Concepts of the Ridigal Right and Extremism: The Main Approaches and the Analysis of the Georgian Language Literature

Abstract

Nowadays, the issue of radical/extreme/far right is getting more and more popular. The same trend can be seen in Georgia, where the given issue is salient in dozens of academic works. However, terminological ambiguity is playing a key role as authors use different concepts in the same context. The article aims to compare the major findings of the concepts of radical and extreme right-wing and to critically overview and analyze the academic literature published in Georgian. Therefore, combination of document analysis and quantitative content-analysis allow us to assess relevant online-published papers. The results show that both university and research organization-affiliated authors neglect the problem of terminological ambiguity. The article is one of the first attempts of bibliographic analysis in the sub-field and can be used as a map for interested scholars.

Keywords: Right-wing radicalism, Right-wing extremism, far right, Georgian politics; literature analysis.